დეკემბერი 2024
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
ექსპერტთა კომენტარი
გამოცემა #29

ახალი კურსი: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები და მისი გავლენა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები იყო რამდენიმე სხვადასხვა მიზეზის გამო, განსაკუთრებით კი ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის სწრაფვის კონტექსტში. ეს არჩევნები საქართველოს გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში კრიტიკულ მომენტს წარმოადგენს, რამდენადაც ის დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებას, მათ შორის მის ურთიერთობას ევროკავშირთან. ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მისწრაფება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს. ამ კონტექსტში, ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ცხრა პრიორიტეტი, რომელიც საქართველომ გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყებამდე უნდა შეასრულოს, და ამ პრიორიტეტებს შორის, 2024 წლის ოქტომბერში თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო. შესაბამისად, ამ არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს ერთგულებას ამ რეფორმების მიმართ და მის მზაობას ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები მნიშვნელოვან განხილვის საგანს წარმოადგენს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, ამ არჩევნებს აქვს გრძელვადიანი გავლენა საქართველოს გეოპოლიტიკურ პოზიციებსა და მის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივაზე.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) თხოვნით, ექსპერტებმა სხვადასხვა ქვეყნიდან უპასუხეს შემდეგ კითხვებს:

- როგორ აისახება საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე?
- რა შეიძლება იყოს შემდგომი ნაბიჯები საქართველოსთვის?

პროფ. ლია (ლიკა) წულაძე

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ასოცირებული პროფესორი

ეჭვგარეშეა, რომ [2024 წლის] საპარლამენტო არჩევნები კიდევ უფრო შეაფერხებს საქართველოს ევროინტეგრაციას. ჩვენ ვიცოდით, რომ საქართველოში არის ავტოკრატია, თუმცა მაინც გვჯეროდა, რომ შეგვეძლო ავტოკრატიული რეჟიმის დემოკრატიული არჩევნების გზით დამარცხება, რაც აქამდე არასდროს არსად მომხდარა. ახლა, ჩვენ უნდა ველოდოთ დემოკრატიის კიდევ უფრო უკუსვლას, თავდასხმებს დარჩენილ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებიც კიდევ უფრო შეზღუდავს სიტყვის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებს და ა.შ. ეს ყველაფერი კიდევ უფრო დააშორებს საქართველოს ევროკავშირისგან. მმართველი პარტია სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების შეზღუდვას წლების განმავლობაში ცდილობდა, თუმცა მისი ევროპული კურსისგან გადახვევა ფართო საზოგადოებისთვის აშკარა გახდა მხოლოდ 2019 წლის ივნისში, „გავრილოვის ღამის“ შემდეგ, ხოლო ევროკავშირისთვის 2021 წლის ივლისში, ქართული ოცნების მიერ შარლ მიშელის დოკუმენტიდან გასვლის შემდეგ. ეს პროცესი კიდევ უფრო გამწვავდა 2022 წლის თებერვალში, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, როდესაც ქართულმა ოცნებამ უარი თქვა შეერთებოდა ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ და აირჩია ე.წ. „პრაგმატული პოლიტიკის“ გატარება, რითაც ცდილობდა სარგებელი მიეღო ორივე მხრიდან: ევროკავშირისგან (მაგ. კანდიდატის სტატუსი) და რუსეთისგან (მატერიალური მოგება). 2024 წლის არჩევნები ნათლად აჩვენებს, რომ მმართველი პარტია არ აპირებს დემოკრატიული ნაბიჯით სვლას (უფრო მეტიც, ავტოკრატია, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტად კონსოლიდირდება), და ამავდროულად, “ორ სკამზე ერთდროულად ჯდომასაც” ვერ მოახერხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ღიად შეაქცევს ზურგს ქვეყნის ევროპულ კურსს.

მხოლოდ ევროკავშირისა და სხვა დასავლელი მოკავშირეების ჭეშმარიტ ზეწოლას შეუძლია უზრუნველყოს ქართული ოცნების ნომინალური, „იძულებითი შესაბამისობა“ ევროკავშირის მოთხოვნებთან. თუმცა, ფაქტია, რომ ავტოკრატია ნამდვილად ვერ გარდაიქმნება დემოკრატიად. ამიტომ, თუნდაც ამ ზეწოლის შემდეგ გარკვეული არადემოკრატიული კანონები გაუქმდეს, ეს ვერ დააბრუნებს ქართულ ოცნებას დემოკრატიულ და ევროპულ გზაზე. მხოლოდ სისტემური ცვლილებები მისცემს საქართველოს შესაძლებლობას, წარმატებულადგააგრძელოს ევროინტეგრაცია და ამ სისტემური ცვლილებების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სამართლიანი არჩევნებია, რომლითაც მრავალპარტიული პარლამენტი ჩამოყალიბდება, რომელიც მტკიცედ გააგრძელებს ევროკავშირთან დაახლოებას.

პროფესორი ანდრეა გავრიჩი

გისენის იუსტუს ლიბიგის სახელობის უნივერსიტეტის პოლიტიკის/საერთაშორისო ინტეგრაციის პროფესორი

ჩვენ ვხედავთ, რომევროკავშირი არ გეგმავს სტრატეგიის არსებით ცვლილებას საქართველოს მთავრობის მიმართ, რადგან ამაზე კონსენსუსის მიღწევა ვერ ხერხდება (მაგალითად, ორბანის ვიზიტი საქართველოში, რომელიც ევროკავშირის მხოლოდ 15-მა მინისტრმა გააკრიტიკა ერთობლივად). ერთი მხრივ, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა ბიუროკრატიულად წინ მიიწევს, როგორც ეს საქართველოს შესახებ ევროკავშირის რეგულარულ ანგარიშშია ხაზგასმული, რომელიც არჩევნების შემდეგ მალევე გამოქვეყნდა. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველომ რეგრესი განიცადა დემოკრატიასთან დაკავშირებულ ბევრ სფეროში და ზოგადად, მცირე პროგრესი განიცადა სხვა სფეროებში. ეს არ მიუთითებს რაიმე გადახვევაზე ევროკავშირის წინა სტრატეგიიდან გაწევრიანების პროცესის შეჩერების შესახებ. ამდენად, ევროკავშირი ნაბიჯს არც წინ დგამს და არც უკან (მაგ. სანქციები), მაგრამ, ამავდროულად, ის არც ახალ ნაბიჯებს დგამს სხვა მხარეს, როგორიცაა, მაგალითად, არჩევნების არაღიარება. ევროკავშირი, როგორც ჩანს, ელოდება არჩევნების გაყალბების შემდგომ მტკიცებულებებს და ოპოზიციის მხრიდან უფრო კონკრეტულ გეგმებს სამომავლო სტრატეგიებთან დაკავშირებით, რომლებსაც საბოლოოდ, შესაძლოა, ევროკავშირის კონკრეტული მხარდაჭერა ჰქონდეს.

ერთი მხრივ, ოპოზიციისმიერსაპარლამენტო მანდატების ბოიკოტიძლიერი იმპულსი იყო. თუმცა, მეორე მხრივ, საერთაშორისო მხარდამჭერების პერსპექტივიდან, ეს ჯერ კიდევ არ არის საშუალოვადიანი სტრატეგია, რადგან არჩევნების გაყალბების შემდეგ საერთაშორისო ყურადღების მიპყრობა და მხარდაჭერა ქუჩიდან გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე პარლამენტში ავტოკრატიული ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ხმის ამაღლება. ჩვენ უდავოდ ვხედავთდიდევროპულ სიმპათიას ქართული ოპოზიციის მიმართ, თუმცა, სამწუხაროდ, საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება ასევე მოითხოვს სტრატეგიას, რათა ის ევროპის პოლიტიკურ დღის წესრიგში დარჩეს.

პროფესორი ზინაიდა ბეჩნა

მასარიკის უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი

ევროკავშირი დგას რთული ამოცანის წინაშე, მხარი დაუჭიროს პროევროპულ ქართველებს და ამავდროულად, დაუპირისპირდეს ქართული ოცნების მთავრობის მიერ დემოკრატიული ნორმების ეროზიის პროცესს. პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდა, რომლის მიზანი ერთპარტიული დომინირების შეზღუდვა იყო, რაც ევროპული სტანდარტებისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯად განიხილება. თუმცა, მთავრობის მხრიდან ისეთმა ქმედებებმა, როგორიცაა რუსული სტილის აგენტების კანონისა და ანტი-ლგბტქ+ კანონის მიღება, ევროსკეპტიკური რიტორიკა გააძლიერა და ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკებები გადაავადა. გარდა ამისა, ქართული ოც-

ბის გამარჯვება, რომელსაც უნგრელი ვიქტორ ორბანი უჭერს მხარს, ავტორიტარული ალიანსებისკენ გადასვლაზე მიანიშნებს.

ევროკავშირი სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს ასრულებს საქართველოს მომავლის ფორმირებაში ერთი მხრივ, ქვეყნის ევროინტეგრაციის მისწრაფებების მხარდაჭერის, ხოლო მეორე მხრივ, დემოკრატიასთან დაკავშირებულ პრობლემებთან გამკლავების გზით. საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მზარდი შემოდინების ფონზე, კიდევ უფრო მეტად იკვეთება პროევროპული ძალების მხარდაჭერის აუცილებლობა, რომლებიც დემოკრატიულ პროცესებს უჭერენ მხარს. ამ კონტექსტში, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა და ევროკავშირთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელება. თუმცა, ალიანსების ჩამოყალიბება ქართულ ოცნებასა და ისეთ არადასავლურ აქტორებს შორის, როგორიცაა ჩინეთი, ასუსტებს დასავლეთთან თანამშრომლობას და შიდა არასტაბილურობის რისკებს ზრდის. შესაბამისად, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსტრუქციული დიალოგის წახალისება. ევროკავშირის ცხრაპუნქტიანი რეკომენდაციები კვლავ საქართველოს ევროინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ გზად რჩება, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ევროკავშირის ერთგულებას ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფების მიმართ. საქართველო იმსახურებს მომავალს დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, რაც დასავლეთთან ორმხრივ და მტკიცე ურთიერთობას მოითხოვს. მიუხედავად საქართველოს უნიკალური სვლისა ევროინტეგრაციის გზაზე, ძალიან მნიშვნელოვანია დროული და ძლიერი მხარდაჭერა, რომელიც ქართველი ხალხის მისწრაფებებთან შესაბამისობაში იქნება.

პროფესორი მაიკლ ემერსონი

ასოცირებული უფროსი მკვლევარი, ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი (CEPS)

საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესი ამ დროისთვის დიდწილად გაყინული რჩება. ქართული ოცნების მთავრობა უდავოდ გამოაცხადებს ევროკავშირთან ინტეგრაციის მუდმივ ერთგულებას, მაგრამ ეს უშინაარსო დისკურსი იქნება. ქართული ოცნების მთავრობისა და ლიდერების ინდივიდუალურად სანქცირების იდეა აწყდება ცნობილ დილემას, რომ ეს გადაწყვეტილება პრორუსულ ტენდენციებს გააძლიერებს. მომავალში, ფრაგმენტული ქართული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები რეალური, სანდო და შთამბეჭდავი ლიდერების გარშემო უნდა გაერთიანდნენ.

დოქტორი თეონა ლავრელაშვილი

ვილფრიდ მარტენსის სახელობის ევროპული კვლევების ცენტრის მოწვეული მკვლევარი

ამ დროისთვის, ბრიუსელში არსებობს მკაფიო წარმოდგენა, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი პოლიტიკურ დონეზე შეჩერებულია. ევროკომისიის მიერ ახლახან მიღებულმა გაფართოების პაკეტმა დაადასტურა შეზღუდული პროგრესი, განსაკუთრებით ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებულ სფეროებში. თუმცა, ამავდროულად, კომისია ეკონომიკურ კრიტერიუმებზე ზომიერ პროგრესსაც აღნიშნავს. ევროკავშირისთვის პროცესის გაგრძელების ორი ძირითადი წინაპირობა იკვეთება: პირველ რიგში, სავარაუდო საარჩევნო თაღლითობის სანდო გამოძიება და მეორე, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის გაუქმება. საერთო ჯამში, არჩევნების შედეგებმა უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე. ამ კონტექსტში, საქართველომ პროგრესი უნდა აჩვენოს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ქვეყნის შიგნით, ქართულმა პოლიტიკურმა აქტორებმა უნდა მოძებნონ პოლიტიკური დიალოგის გზები, რომლებიც, სავარაუდოდ, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით არჩევნების სავარაუდო გაყალბების სანდო გამოძიებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. საქართველოს დასაკარგი დრო არ აქვს; საჭიროა მნიშვნელოვანი რეფორმები კარგი მმართველობის, სოციალური უსაფრთხოებისა და ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრის მიმართულებით. ქვეყანა უკვე კარგავს ნიჭიერი ახალგაზრდების დიდ ნაწილს საზღვარგარეთ და შესაბამისად, შრომის დეფიციტი გარდაუვალია. ასევე პრიორიტეტული უნდა იყოს რეგიონების განვითარება. თუმცა, თუ პოლარიზაცია შენარჩუნდება, ქვეყანა მუდმივი პოლიტიკური კრიზისის რისკის წინაშე დგება, რომლის პირობებშიც ვერც საერთაშორისო მედიაცია და ვერც შიდა აქტორები ვერ შეინარჩუნებენ სტაბილურობას, რაც საბოლოო ჯამში, მხოლოდ რუსეთს მოუტანს სარგებელს.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ექსპერტ კომენტარში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„ახალი კურსი: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები და მისი გავლენა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე,“ ექსპერტთა კომენტარი #29, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2024.

© Georgian Institute of Politics, 2024
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge